ბრძანება:№94. 94240602
თარიღი:29/02/2024

ქედის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“), შემდეგი შემადგენლობით:

ა) როლანდი ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერი, თავმჯდომარე;

ბ) იმედა ვასაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მამუკა ფარტენაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, წევრი;

დ) დავით თედორაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, წევრი;

ე) გენადი ანანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი, წევრი;

ე) სულიკო სურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი;

ვ) ჯემალ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი (კოორდინატორი);

ზ) ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი, წევრი;

თ) სულიკო ბოლქვაძე _ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, წევრი;

ი) ბადრი სურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი;

კ) შოთა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის

სამსახურის უფროსი, წევრი;

ლ) ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, წევრი;

მ) ოთარი ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, წევრი (მოწვეული);

ნ) ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, წევრი (მოწვეული);

ო) ნინო ლოლაძე - GIPA-ს ლექტორი; GIZ-ის მოწვეული ექსპერტი, წევრი (მოწვეული).

2. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის შეიქმნას სამუშაო ჯგუფის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ეკა გოგუაძე-მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი;

ბ) სულიკო ჩხიკვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

გ) ინდირა გორგაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

დ) გიორგი მგზავრიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში;

ე) სოფიო გოგუაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებში.

3. დამტკიცდეს:

ა) 2025 - 2028 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი №1 - ის შესაბამისად;

ბ) 2025 - 2028 წლების მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, დანართი №2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადების ფორმები, დანართი №№3-6 შესაბამისად.

4. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს (ჯ. ტაკიძეს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი №1-ს) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომაობასთან დაკავშირებით;

ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები (დანართი №№ 7-8.).

5. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება:

ა) სამუშაო ჯგუფს დაევალოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2025 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;

ბ) სამუშაო ჯგუფმა, გენდერული ბიუჯეტის დანერგვის პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, გენდერული ბიუჯეტის საკითხების განხილვის დროს, უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების (თავმჯდომარე, მდივანი და სხვა დაინტერესებული პირები), მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა და მონაწილეობა.

6. ბრძანების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბ. სურმანიძემ.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი. ფ. ხალვაშის გამზირი №358).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

როლანდი ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერი